

**შპს „ევროთრეიდი“-ს ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის**

შპს "ვეროთრედი"				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
ერთეული: 1 GEL				
	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	26855	48505	448398	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3777121	4744963	4694437	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	452967	581574	1239685	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები	2631388	3338923	2285528	3.2
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა	2631388	3338923	2285528	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	94650	30272	20627	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	97715	43688	69777	
ძირითადი საშუალებები	4769102	4785822	2712825	3.3
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	11849798	13573747	11471277	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	800		3393	
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	1370212	2199773	913799	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	5568	15605	28458	3.4
საგადასახადო ვალდებულებები	93058		128325	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	209244	125326	337099	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	31786	318635	15839	3.5
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	5184041	5170651	6968096	3.5
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	6894709	7829990	8395009	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	24113	24113	24113	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	4930976	5719644	3052155	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	4955089	5743757	3076268	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	11849798	13573747	11471277	
სულ მოკლევადიანი აქტივები	6982981	8744237	8688675	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1710668	2659339	1426913	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2024 წ.				
დირექტორი _____	ლაშა მგალობლიშვილი			
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს "ევროთრეიდი"			
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		
	2023	2022	შენიშვნა
ნეტო ამონაგები	12874237	14128248	3.6
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	12772731	14110148	
- მომსახურების გაწევიდან	101506	18100	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-9749442	-10698727	
საერთო მოგება	3124795	3429521	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1628315	-1330972	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-338072	-111569	
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი	-305603	-281175	
იჯარის ხარჯი	-1000	-95198	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1433759	-396293	3.7
სულ საოპერაციო ხარჯები	-3706749	-2215207	
საოპერაციო მოგება	-581954	1214314	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა		-218	
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების		-218	
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	-187587	1417965	
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	255477	35912	3.8
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-514064	2667973	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	-514064	2667973	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-514064	2667973	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	5743757	3076268	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-265958		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-8646	-484	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4955089	5743757	3.9
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2024 წ.			
დირექტორი _____	ლაშა მგალობლიშვილი		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს "ვეროთრედი"		
ფულადი ნაკადების ანგარიშგება		
		ერთეული: 1 GEL
	საანგარიშგებო პერიოდი	
	2023	2022
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1165223	1846081
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-211269	-1637456
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-977606	-588991
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	-23652	-380366
სავალუტო კურსის ეფექტი	2002	-19527
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	48505	448398
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	26855	48505
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2024 წ.		
დირექტორი _____	ლაშა მგალობლიშვილი	
თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.		

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ვეროთრედი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2011 წლის 30 ნოემბერს; მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 404919987, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ჩერქეზიშვილის ქ. №2. კომპანია დღგ-ის გადამხდელად დარეგისტრებულია 2011 წლის 1 დეკემბერს.

1.2. კომპანიის ერთადერთი პარტნიორი 100%-იანი წილის მფლობელია ლაშა მგალობლიშვილი (პ/ნ 01024039909) .

1.3. კომპანიის დირექტორია ლაშა მგალობლიშვილი (პ/ნ 01024039909).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა, საბითუმო ვაჭრობა სხვა ქიმიური პროდუქტებით და ასევე სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

1.5. კომპანია საანგარიშგებო პერიოდში ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებდა ლოკაციის 1 ადგილიდან (თბილისში).

1.6. კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი მეკავშირე საწარმო.

1.7 2023 წლის მდგომარეობით, კომპანიაში დასაქმებულ თანამშრომელთა რიცხოვნობა საშუალოდ შეადგენდა 28 კაცს.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და

აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით). 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს-ის დებულებები.

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული

დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯებით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ასევე, თვითღირებულების მოდელი გამოიყენება მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციებისთვის.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და ნარჩენ (სალიკვიდაციო) ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები	- 4%;
ოფისის აღჭურვილობა	- 20%;
კომპიუტერული ტექნიკა	-20%;
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	-10%;
სხვა ძირითადი საშუალებები	-50%

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო

გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, რომელთათვისაც ეს დებულება ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან, და ზოგიერთი სხვა გამონაკლისისა (ფინანსური დაწესებულებები: ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები; აგრეთვე, სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობების ორგანიზატორი პირები).

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2023 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

31.12.2023 წლის მდგომარეობით: 1 USD=2.6894 ლარი; 1 EUR=2.9753 ლარი.

31.12.2022 წლის მდგომარეობით: 1 USD=2.7020 ლარი; 1 EUR=2.8844 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2023 წელს: 1 USD=2.6279 ლარი; 1 EUR=2.8416 ლარი.

2022 წელს: 1 USD=2.9156 ლარი; 1 EUR=3.0792 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

აღნიშნული მუხლი 2023 წლის დასაწყისისა და ბოლოს მდგომარეობით მოიცავს:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	188.66	109.41	71010
ნაღდი ფული სალაროში ევრო		1009.54	
ლარი საბანკო ანგარიშებზე	25978.57	47370.2	366726.13
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	537.88	0	0
ევრო საბანკო ანგარიშებზე	149.92	15.86	10661.66
რუსული რუბლი საბანკო ანგარიშზე			0
სულ:	26855	48505	448398

კომპანიის ფულადი სახსრები შედგება სალაროს ანარიშზე არსებული თანხისა და საქართველოს რამოდენიმე კომერციულ ბანკში არსებულ ანგარიშებზე არსებული თანხებისაგან. კომპანიას ანგარიშები გახსნილი აქვს სს „თიბისი ბანკი“ და სს „პროკრედიტ ბანკი“.

3.2 მარაგები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
გასაყიდი საქონელი	2565170	3071396	2176671
საქონელი გზაში		182828	0
საწყობში არსებული ჩამოსაწერი და გაუფასურებული საქონელი	22128	22289	22730
სხვა მარაგი	43836	38936	84042
საწვავ-საცხები მასალები	0	1595	2085
ნედლეული და მასალები	255	21880	0
სულ:	2631388	3338923	2285528

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მარაგები შედგება ძირითადად იმპორტირებული გასაყიდი საქონლისაგან, კერძოდ სადებიზინფექციო-ქიმიური საშუალებებისა, შესაფუთი საქონლისა და საკვები დანამატებისაგან და სხვა მარაგებისაგან.

3.3. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	2023 წელი ზრდა ან შემცირება	2023 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2022მდგომარეობით	2022 წელი ზრდა ან შემცირება	2022 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 01.01.2022მდგომარეობით
არასასაფლაო მიწის ნაკვეთი	626314	0	0	626314	59430	0	566884
შენობები	3166369	12377	133273	3287265	3320485	33220	0
კომპიუტერები და აღჭურვილობა	66032	13463	15356	67926	42154	10658	36429
ოფისის აღჭურვილობა	85222	10923	21169	95468	94574	2722	3616
კავშირგაბმულობის საშუალებები	7808	888	1338	8258	-2697	632	11588
ავეჯი და სხვა ინვენტარი	22994	4262	6152	24885	25576	2813	2121
სატრანსპორტო საშუალებები	337048	17202	1993	321839	77621	6214	250432
სხვა ამორტიზირებადი ძირითადი საშუალებები	0	0	47	47	0	95	142
უსაფრთხოების აღჭურვილობა	24081	0	2701	26782	27007	225	0
საწყობის აღჭურვილობა	232623		62277	294900	311385	16484	0
სპეციალური ინსტრუმენტები	166044	204198	38154	0	0	0	
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	6513	6136	4506	4883	4688	1012	1208
სულ:	4741049	269449	286967	4758567	3960221	74075	872420

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2023 წლის ბოლოს - 515514.35 ლარი;

2022 წლის ბოლოს - 227968.94 ლარი.

3.4. ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
გასაცემი ხელფასები	279	263	0
სავალდებულო საპენსიო შენატანი	5289	15342	28458
სულ:	5568	15605	28458

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ეს მუხლი შედგებოდა შემდეგი თანხებისაგან გადასხადელი ხელფასი 279 ლარი და ვალდებულება სავალდებულო საპენსიო შენატანებით- 5289ლარი

3.5. მიმდინარე სასესხო ვალდებულება

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
პროკრედიტ ბანკის საკრედიტო ხაზი 75.6867	2158006	2305771	2803200
პროკრედიტ ბანკის სესხი 75.6868	0	156405	504679
პროკრედიტ ბანკის სესხი 75.6869	370991	410019	561650
პროკრედიტ ბანკის სესხი 75.7658	1240983	1331737	1752000
პროკრედიტ ბანკის სესხი 75.8032	52400	149247	295367
პროკრედიტ ბანკის სესხი 75.8387	781926	817472	1051200
პროკრედიტ ბანკის სესხი 75.10158	579734		
ფიზიკური პირის სესხი	31786	318635	15839
სულ:	5215827	5489286	6983935

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სასესხო ვალდებულებები შედგება სს „პროკრედიტ ბანკის“ 5 სესხისაგან, ერთი საკრედიტო ხაზისაგან, ასევე საქართველოს რეზიდენტი ერთი ფიზიკური პირისგან მიღებული სესხისაგან, რომელიც დასრულდა 2024 წელს.

3.6. ნეტო ამონაგები:

	2023 წელი	2022 წელი
საქონლის რეალიზაცია	12772731	14110148
მომსხურების რეალიზაცია	101506	18100
სულ:	12874237	14128248

2023 წელს, კომპანიის ნეტო-ამონაგები შედგებოდა სადეზინფექციო-ქიმიური საქონლის, შესაფუთი მასალების, საკვები დანამატების და მომსხურების რეალიზაციით მიღებული შემოსავლისაგან (დღგ-ს გარეშე)- 12 874 237 ლარი.

3.7. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები:

	2023 წელი	2022 წელი
რეკლამის ხარჯები	(31 280)	(20 695)
საერთო დანიშნულების დაზღვევის ხარჯები	(15 058)	(14 798)
ინტერნეტის ხარჯი	(7 317)	
კომპიუტერის ხარჯები	(3 986)	(6 518)
კომუნიკაციის ხარჯები	(10 171)	(12 128)
საწვავის ხარჯები	(36 495)	(43 422)
ავტომობილის შენახვის ხარჯი	(35 479)	(14 370)
კომუნალური გადასახადების ხარჯი	(32 867)	(12 576)
წარმომდგენლობითი ხარჯი	(46 387)	(17 113)
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯი	(263 693)	(4 018)
საგადასახადო ხარჯები	(42 517)	(32 527)
საბანკო ხარჯები	(48 076)	(69 299)
მივლინების ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	(85 199)	(59 712)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(22 987)	(25 088)
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯი	(716 510)	(43 244)
სხვა ხარჯები	(35 736)	(20 786)
სულ:	(1 433 759)	(396 293)

3.8 სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი:

	2023 წელი	2022 წელი
არასაოპერაციო მოგება მს და არ. აქტ. რეალიზაციიდან	16347	23633
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	275258	48221
სამეურნეო ჯარიმები და პირგასამტეხლოები	(17 434)	(5 870)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(16 939)	(23 438)
სხვა ფინანსური ხარჯი	(1 754)	(6 633)
სულ:	255 477	35 912

3.9 კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

კომპანიის წესდებით განსაზღვრული კაპიტალი 24113 ლარია, რაც დასაშვებია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით. შესაბამისად, კომპანიის საკუთარი კაპიტალი მთლიანად შედგება დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისაგან. 2022 წლის კომპანიის ფინანსური შედეგი იყო - მოგება 2667973 ლარი, ხოლო 2023 წლის - მოგება -514064 ლარი. განაწილდა 265958 ლარი, რომელიც წარმოადგენს 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგებიდან განაწილებას. მოგების გადასახადი ამ თანხაზე არ დარიცხულა, რადგან გამოყენებული იქნა სსკ 309-ე მუხლის 93² ნაწილის ა) პუნქტის გარდამავალი დებულება, 2008-2016 წლებში გადახდილი მოგების გადასახადის ჩათვლის შესახებ.

გარდა ამისა, 2023 წელს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე გავლენა მოახდინა ბიუჯეტთან, არარეზიდენტ მიმწოდებლებთან და მსესხებლებთან მომხდარმა შედარებებმა, რომლებმაც გამოავლინა წინა წლებში დაშვებული შეცდომები, ჯამში 8646 ლარი, რაც აისახა როგორც შეცდომების გასწორება საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში. შესაბამისად, კომპანიის გაუნაწილებელი მოგების ნაშთი 2023 წლის ბოლოს შეადგენს 4955089 ლარს, რომლის დივიდენდებაც განაწილების შესახებ გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული.

3.10 განაწილება მესაკუთრეებზე (განაწილებული დივიდენდი):

2023 წელს კომპანიაში განაწილებული იქნა 2008-2016 წლების დაგროვილი მოგების განაწილება დივიდენდის სახით.

3.12. სასამართლო დავები

2023 წელს კომპანიის წინააღმდეგ სასამართლო დავებს ადგილი არ ჰქონია. თავად კომპანია უჩივის რამდენიმე ვადაგადაცილებულ დებიტორს თანხის გადაუხდელობის გამო, თუმცა სადავო თანხები კომპანიის საქმიანობის მასშტაბთან შედარებით მცირეა. რამდენიმე დავა წარმატებით დასრულდა 2023 წელს.

3.13. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2024 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრის პერიოდში, დაიწყო სასამართლო დავა ერთ-ერთი კრედიტორის მიმართ, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას, არ მომხდარა.

3.14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2024 წლის 30 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს "ევროთრედი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	26855	48505	448398	3.1
საეაჭრო და სხვა მოთხოვნები	3777121	4744963	4694437	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	452967	581574	1239685	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები	2631388	3338923	2285528	3.2
მ.შ. - შპს პროდუქცია				
- სხვა	2631388	3338923	2285528	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	94650	30272	20627	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თევზჭერების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	97715	43688	69777	
ძირითადი საშუალებები	4769102	4785822	2712825	3.3
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	11849798	13573747	11471277	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	800		3393	
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
საეაჭრო ვალდებულებები	1370212	2199773	913799	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	5568	15605	28458	3.4
საგადასახადო ვალდებულებები	93058		128325	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	209244	125326	337099	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	31786	318635	15839	3.5
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	5184041	5170651	6968096	3.5
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	6894709	7829990	8395009	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	24113	24113	24113	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	4930976	5719644	3052155	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	4955089	5743757	3076268	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	11849798	13573747	11471277	
სულ მოკლევადიანი აქტივები	6982981	8744237	8688675	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1710668	2659339	1426913	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაცემიდან 30.09.2024 წ.

დირექტორი

ლ.შ. მგალობლიშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2023	2022	
ნეტო ამონაგები	12874237	14128248	3.6
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	12772731	14110148	
- მომსახურების გაწევიდან	101506	18100	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-9749442	-10698727	
საერთო მოგება	3124795	3429521	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			3.7
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1628315	-1330972	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-338072	-111569	
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი	-305603	-281175	
იჯარის ხარჯი	-1000	-95198	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1433759	-396293	
სულ საოპერაციო ხარჯები	-3706749	-2215207	
საოპერაციო მოგება	-581954	1214314	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა		-218	
მ.შ. - ფინანსური აქტივების			3.8
- მარაგების		-218	
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	-187587	1417965	
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	255477	35912	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-514064	2667973	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	-514064	2667973	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			3.9
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:	-514064	2667973	
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი			
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	5743757	3076268	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-265958		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-8646	-484	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4955089	5743757	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2024 წ.

დირექტორი

ლ.შ. მგალობლიშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "ევროთრედი"


ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2023	2022
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1165223	1846081
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-211269	-1637456
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-977606	-588991
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	-23652	-380366
სავალუტო კურსის ეფექტი	2002	-19527
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	48505	448398
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	26855	48505

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2024 წ.

დირექტორი



ლაშა მაგლობლიშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

